ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**№44. 442416333**
თარიღი:**11/06/2024**

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის შექმნის შესახებ''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 აპრილის №44.4424101159 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის შექმნის შესახებ'' ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 აპრილის №44. 4424101159 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება.

2.შეიცვალოს ბრძანების მე-6 მუხლი ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2 და ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმის რედაქციის შესაბამისად /დანართი N2 ერთვის/.

3.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი